– მოწინტორინგი მიმდინარეობს, მაგრამ განიარალეგის თვის რეალურად არაფერი კეთდება. 10 თებერვალს კი მე უნდა წარვდგე რეგიონში შეძლილი სიტუაციის შესახებ ანგარიშით საქართველოს პარლამენტის წინაშე. არ ვაპირებ დავხუჭო თვალი მეფიდრობისმყოფელთა უმრძედრობაზე. სამშვიდობო ოპერაცია შეფერხდა, რასაც მოვახსენებ კიდეც ძვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს. და მაშინ ძალაში შევა საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება ამ ოპერაციის ამძიმებელი სახით შეწყვეტის შესახებ. გოლოს და გოლოს, ეს გამოიწვევს რუსეთის საზარისო კონტინგენტის გაყვანას და დუსვამს ლეგიკურ წერტილს მათ 13-წლიან ნაკლებადფუძემიან ყოფნას ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში. ვფიქრობ, რომ მსოფლიოში არც ერთი ძვეყანა, მათ შორის თვით რუსეთიც, არ შეურიგდება და თავის ტერიტორიაზე უცხო ძვეყნის საზარისო ძვეებანაყოფების ყოფნას, რომელებიც გასამხედროებული ფორმირებების განიარალების ნაცვლად სრულიად საწინააღმდეგოს გეგმავენ. მტკიცეა, რომ გეგმა ასე გვეგონა? ავიღოთ, თუნდაც გასული წლის სექტემბერში ცხინვალში გამართული სამხედრო პარადი, რომელზეც გამოიყვანეს ჯაჭვსატანკეიანს. ავილოთ, თუნდაც სამხრეთ ოსეთის მხრიდან შერიული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარის ბორის ჩოჩიევის მიერ გაკეთებული განცხადება იმის შესახებ, რომ ცხინვალის შეიარაღებულ ძალებს აძვთ ჯაჭვსატანტექნიკა და ავიაციაც კი. საიდან გაჩნდა ყოველივე ეს? მიმდინარეობს სეპარატიზმის აშკარა მხარდაჭერა, რასაც ჩვენ ვერ შევურიგდებით.

– კონკრეტულად რის გაკეთებას აპირებს თბილისი?

– ამ ბოლო 13 წლის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ რუსეთი მარტო ვერართმევს თავს სამშვიდობო პროცესს სამხრეთ ოსეთში. ეს გვაიძულებს ვიფიქროთ იმაზე, რომ აუცილებელია სამშვიდობო პროცესის ინტერნაციონალიზაცია. შერეული საკონტროლო კომისიის ამჟამინდელი ფორმატით მომავლში (მოსკოვი-ვლადიკავკაზი-ცხინვალი-თბილისი ჩვენ ხშირად მარტო ვრჩებით, მარტო სამი საპირისპირო აზრის წინააღმდეგ. და რაც მთავარია, შერეული საკონტროლო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ძალა ნაკლებია, ვიდრე ეუთოს ან გაეროს. ამიტომ ვთვლით, რომ ეუთოს ან გაეროს სტატუსის მინიჭება ამ ორგანიზაციისთვის ხელს შეუწყობს ამ კონფლიქტის მოგვარებას. ეს არ უნდა მოხდეს ჩვენი ინტერესების საზიანოდ.

– ევროპელი დონორებიც მიერ დაფინანსებული რომელი ეკონომიკური პროგრამებით ხორციელდება სამხრეთ ოსეთში და რამდენად გამჭვირვალედ ხდება ეს?

– ეკონომიკური მიმართულება ყველაზე წარმატებულია სამშვიდობო პროცესში. სამშ ეხება გზებისა აღდგენას, სკოლების, სოციალური ობიექტების მშენებლობას, რეგიონის ელექტრიფიკაციას და გაზიფიკაციას და ა.შ. ახლა შეიცნობა ეს ყველა ძალიან მეტჯერ ეწვია, ვიდრე ვლადისლავ არძინბა ან ვიტალი მამაიაშვილი – 11 წლის განმავლობაში. ვიცე-პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა თითქოს მიიჩნევს, რომ ეს გამოიწვევს რუსეთის საჭარისო ძალების დაბრუნებას. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ინტერესების გათვალისწინება არ გვსურს. ევროპაში არ გვიშვებენ, არც რუსეთში. საქართველოში კი სააკაშვილმა დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ძარღვებს.

საქართველოში ბინის ქურდობის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო ჯერ კიდევ საბჭოურ პერიოდში ედუარდ შევარდნაძის დროს, რომელმაც იმის მიღწევაც კი შეძლო რომ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში ქურდობისთვის სასჯელის ნორმა ერთიორად გაეზარდათ რუსეთთან შედარებით. თუ უკრაინაში ამ დანაშაულისთვის პატიმრობის მინიმალური ვადა 3 წელია, მაქსიმალური კი – 6, საქართველოში ეს შესაბამისად 6 და 12 წელს შეადგენს. თანაც, იქ არ ანხვებენ წვრილად და მსხვილ ქურდობას. როგორც იტყვიან, ნებისს და აქლემის ქურდი ორივე ქურდია და საკმაოდ მკაცრადაც ისჯებიან. მაგრამ ქართველს ფაქტიურად აიძულებს კავკასიელ ბინის ქურდებს სამშობლოდან წამოსვლას და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის უკიდებანო სივრცეში „გუშაობას“. ხელის უფლებების სათავეში მისვლის შემდეგ, მისი ეს საკაკუნელა არა მარტო დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ბინის ქურდობას, არამედ ფინანსურად ხელი შეუწყო ბინის ქურდების ოჯახების ემიგრაციაში გაყვანას. ამ ბრძოლის ისტორიას ცოტა მოგვიანებით მოგითხრობთ.

ქურდების აღსრება

უკრაინის დედაქალაქის მილიციის უფროსს გენერალ ვიტალი იარემას არაერთხელ უთქვამს, რომ კიევს შემოესივნენ „გასტროლიორი“ ბინის ქურდები მზიური საქართველოდან. ეს ადამიანები დიდდიდ დახელოვნებული არიან თავიანთ საქმეში, და ამიტომაც მათ წინააღმდეგ ბრძოლა ქალაქის ხელისუფლებას მეტისმეტად ძნელად ეჩვენებოდა. სულ ცოტა ხანის წინათ მოხდა საკმაოდ კურიოზული შემთხვევა: ახალ წლამდე სულ რამდენიმე საათით ადრე ორი თბილისელი ბინის ქურდი აპირებდა კიევის პერორასკის რაიონში ერთ-ერთ ბინის გაქურდვას, მაგრამ, როგორც იტყვიან, ხუთწვეში გაეგნენ. ამოქმედდა სიგნალიზაცია და შემთხვევის ადგილზე სულ რამდენიმე წუთში მივიდა კიევის დაცვის სახელმწიფოს სპასახურის ჯგუფი. ქურდებმა სცადეს გადაგეწიათ ზენრეგით აივნიდან ჩასვლა, მაგრამ მათი ამცდელობა ამაო იყო. ჯერ ერთი, ბინის პატრონს, თურმე, არ ჰქონია იმდენი ლეგინის თეთრეული, რომ ამ ბრძოლაში სართულიდან სართულში გადაეგეთებინათ, ხოლო მეორე, ბინის ქურდებს ძალიან ჰყვარებიათ. და მეორეც, როცა ქურდებმა ფანჯრიდან გადახიხეტს და დინჯად ჩაუნგრიეს ფანჯრის ოლეწინათ, ისინი ამას არ უცარყოფენ, მაგრამ თავიანთ სხვა თავდასხმასთან ერთად ამ ეპიზოდსაც დანაშაულის ჩადენას, ისინი ამას არ უ

რაღაც ხდება

„ო, ენავ ჩემო...“

„ვაიმე, ისევ ენა“!
„ძართული ენა“!
„კვლავ ჭკუის დარიგება.
„დამახინჯებული გრამატიკული ნორმების სწორი ვარიანტები.“
მსგავსიც არაფერი. შეგონებებზე არ ვფიქრობ.
ამდენად, არც ვაპირებ.
ვხიბლავ ჩემთვის. ჟურნალ-გაზეთების ვკითხულობ.
არ მინდა, მაგრამ თავს ვერ ვიკავებ. ცალკეულ წერილდადებებს მაინც ვიწერ.

არც არაფერს ვაკლებ, არც არაფერს ვუშვებ.

ვიცი: მაინცდამაინც გრძნეულ საძმეს არ ვაკეთებ. მაინც არავინ არაფერს შეისმენს. ახლა სხვათა მოსმენის ჟამი არ დგას.

ყველა იმას აკეთებს, რაც უნდა.

უფროს ზუსტად:

აკეთებს, წერს ისე, როგორც უნდა.

ბევრი თავისი გულის გასახარად და მხოლოდ ჯადაკოში გამოსარჩევნად აბრეშუმებს თაბახის ფურცლებს:

„ძვირფასო მარავალი პარტია ფუნქციობას.“
„ბევრი გრძოლობს მომავლისათვის.“
„უკვე მუსირებს.“
„ფეხოსანი ნაწილები გამოირჩინენ.“
„ქართველობას თვალში ჩხერს.“
„წესიერად ველარ ვეკონტაქტები.“
„მომივიდოდა მუღამი და ვწერდი.“
„მერე სხვა ანსამბლი გაიჩითა, გაგრა დამეთასა და ხოშიანად ვიკაიფე.“
„ჩვენი უფროსი მაზალო ვინმეა.“
„გაგრა ვიშასხირეთ და კარგადაც გავერთეთ...“

მომგებრდა.

ამდენი უხამოგისგან აბტკივდება თავი, აბა რა ოხორება იქნება.

შენც ადექი და გადადე ჟურნალი გვერდზე, გაზეთებს მოკიდე ხელი – იტყვის მავანი.

იქაც რომ იგივეა? რაც წაიკითხეთ, ერთ დღესა მაძვს ამოკრეფილი.

განა ათეულებიდან.

მხოლოდ ერთი ჟურნალი მედო მაგიდაზე. ორი კიდევ – გაზეთი.

შეიძლება გევრმა თავისი ნაწერიც იცნოს.

არა უშავს.

ერთი კითხვა მინდება მხოლოდ. ასეთ პიროგებში რამდენად სწორი იყო სკოლებში ძართული ენისა და ლიტერატურისათვის განკუთვნილი საათების შემცირება?

ზუსტად არ ვიცი, მაგრამ რაღაცას ვხვდები.

ვფიქრობ, ვხედავ საძირკველს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ ცნობილ დადებილებაში ამოვიკითხე ასეთი რამ:

„ამ კანონის ამოქმედება არის ძველა საჯარო სამართლის იურიდიული პირის, რომელიც ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ერთ საფეხურს მაინც, დირექტორის გათავისუფლების საფუძველი, რაც ფორმდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გრძანებით.“

მოდი და გაიგე ქართული ენის გრამატიკის რომელი ნორმების მიხედვით არის ეს წინადადება შედგენილი.

ისიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალური დოკუმენტის ნაწილი, სახელმძღვანელოდ და გადაწყვეტილების საფუძვლად მიჩნეული.

რა იქნება შედეგი?

უფალება აციროს, მაგრამ ორმოცდაათი წლის შემდეგ როგინობენ კრუზოსავით უკაცრიელ კუნძულზე მარტო დარჩენილი ქართველი ახლებურად მოლაპარაკე თანამემამულეს თუ შეხვდება, უსათუოდ ცრემლებისგან დაენამება წამწამები უკვე სრულიად უცხო ენის გამო.

მინდობის გამო. მისთვის უკვე უცხოს გამო.

მიმდინარე ცვლილებებშიც უნდა შეიცვალოს რაღაც.

...თუ თვალები შერჩა ვინმეს.

ზოგს კიდევ სმენა.

ასე ღვთის იმედად ყოფნაც არ ივარგებს.

შველა რომც ვითხოვოთ ღვთისგან, პასუხი არ იქნება მაინც და მაინც სასიამოვნო მოსასმენი.

თხოვნას ისევ ხელის განძრევა სჯობს.

ცხადია, ქართული ენის გადასარჩენად.

სწორედ ქართულის!

„... არა რა სიმართული არ იქნება თვითეიერ მართლუგნოებისა და წესიერი წერისა!“

ანუ:

სიტრძნე არ იქნება გარეშე სწორი მეტყველებისა და გამართული წერისაც.

ეს ანტონ კათალიკოსის შეგონებაა – სალვთო საძმისა და ერის განსანათლებლად თავგადადებული კაცის.

რაც მთავარია, ქვეყნის მოქცეული და იმ დროისათვის „ღრამების“ ზედგიწევნით მცოდნის, ენის დამფასებელი კაცის შთამომავლებისათვის ანდერძად დატოვებული.

ოღონდ ზოგიერთი შთამომავლის მიერ ხელუხლებლად, სულაც წაუკითხავ ანდერძად შენახული.

როგერტ ქერია

ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია!

როგორც კი საბჭოთა კავშირი დაიშალა, გევრმა ყოფილმა რესპუბლიკამ თავის „მამიდას“ მიხედა. ერთადერთი გელორუსია, რომელიც „მშობელ დედას“ – რუსეთს ვერ ელევა. გამწარებული რუსეთი ლოგ-ცოროს ედება: იმის მაგიერ, რომ დაფიქრდეს, ასე ერთსულოვნად რატომ შეაქციეს ზურგი, ისევ ძველ პოლიტიკას ადგას – დაშინებით, ეკონომიკური სანძიეებით სურს თავნება რესპუბლიკების მოთვინიერება.

აგერ, ახლახანს, „კომსომოლსკაია პრავდა“ გამოქვეყნებს წერილი „რუსეთს იმიტომ ურტყამენ, რომ ეშინიათ მისი“. დამრტყმელთა შორის კი არიან ავლანეთი, საძართველო, უკრაინა... ჰოდა, რა უნდა მოუხერხონ ამ „უმადურებს“? **„გვეძოლა ჰელიტკოპრეტულობა, გვეცოლა დიპლომეგი. უფროო მკვეთრი უნდა ვიცოთ. კერძოდ, აუზანეთისა და სამხრეთ ოსეთთან მიმართებაშიც. ამ რესპუბლიკების ხალხებს რუსეთის შემდგენელობაში სურთ ცოფვა“** – აი, ასეთი კონკრეტული მოუხოვნით გამოდის გაზეთი. „თითქმის ყინულოვანი ომი 2006-ში გველის არა მძლავრ ავერიკის შეერთებულ შტატებთან, პროტეტ გალტიისპირეთთან, მცირერა ჰელეთისა და გადარჩენულ საძართველოსთანაც კი, არამედ „წიდიან“ უკრაინასთან“...

ჰოდა, ფიქრობ კაცი: **ნუთუ რუსეთში ერთი ჭკვიანი კაცი მაინც არ მოიძებნება, ძველ ამგიციებს, მუძარას და ტრაბახს ლაგამი რომ ამოსდოს.** „ვირს პიტნა ეზარებოდა და ცხვირში ჩრიდნენო“, სწორედ რომ ამაზე იტყვიან...

გუშა რთველაძე

ცხელ-ცხელი წკიპურტები

საშიში სიმეტრიი

გადლოგა ღმერთს, ხალხს პროტესტის გრძნება გაუჩნდა. გაუჩნდა კი არა, მოძარგებულადაც აძვს. რა ხანია, ხან აქ, ხან იქ იფეთქებს ხოლმე უკმაყოფილება. მაგრამ რად გინდა, თურმე, ყოველდღიურმა აქციებმა მიჩვევა იცის – ხელისუფლება არანაირად არ რეაგირებს ხალხის ასეთ „გამოხატომებზე“, ყველგან ოპოზიცია და ჭაქეზებს, „ვარდების რევოლუციის“ მიმართ მტრობა ელანდება. არა, ბატონებო, ესენი თქვენი მტრები კი არა, სვებამდნარებული ხალხია! მათი პროტესტის მიზანია იმ ყინულის გალღობა, რომელიც, დიდი ხანია, ხელისუფლებასა და ადამიანებს შორის ალიმართა.

დამნაშავეები დაიკავეს? მისი ახლობლები აქციებს აწყობენ. აქციებს აწყობენ აბუნტებული პატიმრების, ნარკომბარონების, ძაჩალების, ბანდიტების ახლობლებიც. რა ხდება? პასუხი შარალია – ბაზრობა ალარ ენდობა ხელისუფლებას!

ეს ფრიად საშიში სიმპტომია, ბატონებო!

ეს არის გამოსავალი?

გულით რომ გინდოდეს, მასპრობინ მოზმარების ღვინოს მალაზიებში ვერაფერ იშოვნი, გაზარში კი ბანგებელო ფხიზლისაგან დამზადებული სურობატი იყიდება, – შემოგიცვლა მეგობარმა.

დავინტერესდი და ღვინის სპეციალიზებულ მალაზიაში შევიარე. რა გინდა, სულო და გულო, რანაირი მარკის, ეტიკეტის, ხარისხის ღვინო არ იყიდება! ყველაზე იაფი მწვანეიარლიყიანი „მანავი“ ალმოვაჩინე – ორი ლარი და ოთხმოცდაათი თეთრი! „ალაზნის ველი“ 3,6 ლარი ღირს, „ოჯალეში“ – 6, „საფერავი“ – 6,2, „ქინძმარაული“ – 6, „ხვანჭკარა“ – 6,5, „ბაბური“ – 4,2, „ოჯალეში“ – 14,5 ლარი. ჩემი მშობლიური სოფლის – მუქუზნის სახელობის შავი ღვინო 7,8 ლარად შეუფასებიათ.

და მაშინვე გამახსენდა გასული შემოდგომა, როცა დამამზადებელი მუქუზნელებისგან სფერას 80 თეთრად ან ერთ ლარად ყიდულობდნენ, რძაწითელს – 30-35 თეთრად. **საცოდავ გლეხები – საკუთარი თვალით ხედავენ, როგორ ატყავებენ, თავისი უფლებების დაცვა კი ვერაფრით მოუხერხებიათ და გაბარბაცებულებმა ხელში წალდი აილეს.**

ეს არის გამოსავალი?

ვოლფოვიჩი აქტიურობს

ამბობენ, სამხრეთულება ფრთოსნებმა ფლორისა და ფაუნის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციას საჩივრით მიმართეს, გადარეული ჟირინოვსკისაგან დაგვიცავით. ვლადიმერ ვოლფოვიჩის მოთხოვნა ჭრა კატეგორიულია – გაწყვიტონ ყველა ფრთოსანი, და ამისათვის გამოიყენონ არა მარტო ფილთა თოფები, არამედ კბილებამდე შეიარაღებული არმია!

აფერუმ, ვლადიმერ ვოლფოვიჩ, თქვენს ფანტაზიას (და აბრესიასაც) მართლაც საზღვარი არა აქვს!

ჩვენ ვართ ჩვენი ბედნიერების ხუროთმოძღვრები

ბოლო ხანებში ხშირად ვხვდები ამ ფრაზას. ვინ ამბობს, ვინ ამბობს, ვინ ამბობს... ეს ფრაზა ისეთ ადამიანებს ეკუთვნის, ვისაც ბედნიერების ხუროთმოძღვრობა ნამდვილად არ ეხერხება.

ბედნიერების ხუროთმოძღვრობა ხომ ისეთი ადამიანების საქმეა, ვისაც ბედნიერების ხუროთმოძღვრობა ეხერხება.

საეკლესიო კალენდარი

ღირსნი მამანი: ევაგრე, ილია დიაკონი და სხვანი...

17 იანვარს საქართველოს სამოციქულო ეკლესია ღირს მამებს ევაგრეს, ილია დიაკონს და სხვებს იხსენიებს

VI საუკუნეში, ყოველდღიურად ღვთისმშობლის ლოცვითა და კურთხევით, ანტიოქიიდან საქართველოში ჩამოვიდა ცამეტი ასურელი მამა, მათმა სულიერმა მოძღვარმა იოანემ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაბაზავნა ისინი სამოღვაწეოდ. ამ სახელეგანაა დაკავშირებული ბევრი მონასტრის დაარსება და საქართველოს ბერ-მონაზვნობის აღორძინება.

თვითონ იოანე ზედაზნის მთაზე დარჩა ილია დიაკონთან ერთად, მისი ერთ-ერთი თანამოღვაწე, ანტიოქიელი ღვთისმოსავი დიდებულის შვილი, ღირსი შიო კი – სარკინეთის მთებში დაეყუდა, მიყრუებულ მთებში მოღვაწე ბერს, ღვთის განგებით, მტრედი უზიდავდა საზრდოს.

... ერთხელ, ღირსი შიო ნახა ამ მხარეში სანადიროდ მოსულმა ციხედიდის მთავარმა ევაგრეც და წმიდა ბერის სასწაულებით გაცვირვებულმა, მასთან, სამოღვაწეოდ დარჩენა გადაწყვიტა.

ასე დაედო საფუძველი საქართველოში, ზედაზნისა და შიო მღვიმის სახელით ცნობილ პირველ მონასტრებს (VI საუკუნეძ. მხოლოდ ღვთრთმა უწყის ასურელ მამათა მიერ საქართველოში დარსებულ მონასტრებში მოღვაწე წმიდა მამათა რიცხვისა და ღვაწლის შესახებ.

საქართველოს სამოციქულო ეკლესია, ღირსი ევაგრესა და წმიდა ილია დიაკვნის სახით, მეოხებას ითხოვს ასურელ მამათა თანამოღვაწე და მათი წმიდა სახელის გამგრძელებელი ყოველი ღირსი და ღვერთშემოსილი მამისაგან.

მოამზადა
გიული ლიპარტიამ

თითქმის ნატურიდან

ხელფასი – დაუქვითავად

ამ ქალეხშიც, როგორც ყოველთვის, ტაბლის თავში მჯდომი გუგა-ზი ენამზეობდა:

– ხალხო, დაიმახსოვრეთ, ამ ქვეყანაზე ედამიანი ერთხელ ჩნდება, ასევე ერთხელ კვდება და, ოჯახიც და საზოგადოებაც, მოვალენი ვართ, ბოლომდე პატივი მივაგოთ მის ხსოვნას. საჯაროდ ვაცხადებ, ღვინოარის ერთადერთი საშუალება, რომელითაც საინტერესო კაცისთვის გზის დალოცვა, ხოლო შემდეგ მასთან უშუალო კავშირის დამყარება შეიძლება.

– ზოგიერთები ამბობენ, მოგილურითაც შეიძლებაო – წამოიძახა ვილაცამ.

– არ დაიჯეროთ, მერწმუნეთ, მოგილური ღვინოს მარტო საინტერესო კი არა, საადაოშიც ვერ შეცვლის.

– სწორი ხარ, გუგაზ, სწორი, – თავის კანტურით ეთანხმებაზახალის გულში გახვეული ძიტო, ურომლისოდაც თბილისძალაძი ქალები ვერ გაჭაჭანდება. თავად გუგაზს ძიტო მეძელებე მეტოქედ წარმოუდგენია და მისი დანახვა მაინც და მაინც არ ეპიტნავება.

– კაცო, – უთხრა გუგაზმა ძიტოს, გარეთ რომ გამოდიოდნენ, – უშენოდ ქალეხში ველარ უნდა წავიდე?

– თუ უშენოდ? – კითხვა შეუტრიალა ძიტომ.

– საქმეც ეგ არის, რომ უჩემოდაც დაძვრები.

– სადა, კაცო?

– სადა და აძ – ქალეხში. თუ ძმა ხარ, სამუშაო არაფერი გაქვს?

– აბა როდისა ვიმუშაო, კვირაში ოთხი დღე მარტო ამ საქმითა ვარ დაკავებული.

– დანარჩენ სამ დღეს კიდევ ორმოცეში დადიხარ, არა?

– არა, ეგ საქმე არ გამომდის?

– რატომ?

– არ მეპატიჟებიან, ჩემითკიდევ ვერ მივდივარ – ორმოცზე გაზეთებში მისამართი არ ქვეყნდება.

– გამცდარხარ და ეგ არი.

– რატომ, ქალეხის-გან თავის უფასო დღეებში უფასოს სასეილოში დავდივარ.

– მერე, იჭმება მაგათ დამზადებული კერძები? – დაინტერესდა გუგაზი.

– ქალეხისას ვერ შეედრება, მაგრა...

– აბა პრეზიდენტი რომ სიამოვნებით შეეძცევა?



– ეგ იმ დღეს, როცა თავად ესწრება, აბა მერე ნახე?

– შენც ადექი და პრეზიდენტთან ერთადიარე უფასოებში.

– ეე, მაგას სად გამოვეკიდები, კაცო, სასადილოებს ძვეხნებით იცვლის.

– სდიე, რა გენაღვლება.

– მასწავლი რა, მაგას რომ ვსდიო, ამ ქალეხებსაც დავკარგავ.

– თორემ შენც თანამდებობა არ დაკარგო.

– თანამდებობას რა თავში ვიხლი? მოგხსნიან, გაგაგდებენ, შეიძლება დაგიჭირონ კიდეც. ქალეხში ეს საშიშროება არ მემუძრება, თანაც მუძთა ხელფასსა ვღუნავ.

– რაო, ქალეხში ხელფასსაც იძლევიან? – განცვიფრდა გუგაზი.

– რა თქმა უნდა, აძ გულალტერია არა აძვი, არც უნყისებზე ხელს გაწერინებენ, მაგრამ...

– აბა ხელფასს როგორ ილებ?

– ნატურით. განა ხელფასი იმისთვის არ გვინდა, რომ კარგად ვჭამოთ და ვსვათ?

– მართალი ხარ, – დაეთანხმა გუგაზი, – ამ მხრივ ქალეხში იდეალური პირობებია შექმნილი.

– რა თქმა უნდა. ამას წინათ დავინგარიშე და აღმოვაჩინე, რომ თვეში საშუალოდ ნატურით 700-800 ლარის საკვებს ვიღებ.

– მერე, შინ რომ არაფერი მიგაქვს?

– ვინ გითხრა, რომ არ მიმაქვს, აბა ეს ცელოფანის პარკი რისთვის დამაქვს?

ადამიანები რომ გადაკრავენ, გულკეთილნი ხდებიან და სანოვაგის ჩალაგებაში თვითეოვეთ მეხმარებიან.

კარგია, ფიქრობდა შინ მისავალი გუგაზი, მთავრობა თუ ჩვენს სამსახურს გაუაქმებს, რითაც ყოველდღე გვემუძრება, ავდებები და საშუშაოდ სულაც ქალეხში გადავალ. იქ ცილებით დიდ ხელფასს იღებენ, თანაც ნატურით – საშეთსავლოსა და სოც-ეგის დაუქვითავად...

ოთარ ხუციშვილი

SOS!

რატომ არ იყიდება ყველგან „საქართველოს რესპუბლიკა“?

ჩვენი გაზეთის გამავრცელებელთა საყურადღებოდ!

„საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველები, ეს უკვე მერამდენედ, გულწრფელად და პრინციპულად შეგვახსენებენ, რომ გაზეთის გამავრცელებლები გევრგან თავს არიდებენ ამ მართლაც სანდო, აკადემიური, გაწონასწორებული, ტრადიციული, ყოველდღიური გამოცემის გაყიდვა-გავრცელებას.

მიზეზად ერთსა და იმავეს ასახელებენ: გაუყიდავ ეგზემპლარებს უკან არ იბრუნებენო!

ძვირფასო გამავრცელებლებო! – „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია და გაზეთის გამომცემელი შპს „თანადგომა-1“ კარგა ხანია ყველა გაუყიდავ ეგზემპლარს უპირობოდ იბრუნებს უკან. ამიტომ, უმორჩილესად გთხოვთ, მოითხოვეთ მეტი და მეტი „საქართველოს რესპუბლიკა“. ნუ მოპკლებთ ჩვენს ერთგულ მკითხველს ამ მართალი, პრინციპული, გამართული დედაქართულით შექმნილი გაზეთის წაკითხვის საშუალებას.

გაუყიდავ ეგზემპლარებს კი, თბილისშიც და ქუთაისშიც, გათუმშიც და ოზურგეთშიც, ზუგდიდსა და სენაკშიც, გორსა თუ თელავშიც, ყველგან, მთელ საქართველოში, თითოეული გამავრცელებლისგან უკან დავიბრუნებთ. თუ თქვენ ამის საშუალება არა გაქვთ, დაგვიკავშირდით რედაქციაში ტელეფონებზე: 98-96-33 ან 98-96-32 და ჩვენ უზრუნველვყოფთ მათ დაბრუნებას.

კიდევ ერთხელ გთხოვთ, ყურად იღოთ ჩვენი თხოვნა. წარმატებული გაგამავრცელებლები ვართ!

გაგეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია, შპს „თანადგომა-1“

გამოიწერეთ

სანდო, მართალი და ტრადიციული გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“

მიმართეთ „საქპრესას“ (ტელ: 35.51.40ძ, „მაცნეს“ (37.40.49ძ, „უწყებანს“ (93.64.72ძ, „პრეს-ექსპრესს“ (96.23.11ძ, „პლანეტა-ფორტეს“ (93.38.73ძ, „ინფორმსერვისს“ (34.09.35ძ, „ელვა-სერვისს“ (36.35.75ძ რაიონებსა და ქალაქებში – „საქპრესის“ ადგილობრივ განყოფილებებს.

ძვირფასო მკითხველებო, ფინანსური სიძნელეების მიუხედავად, რედაქციამ გაითვალისწინა თქვენი შესაძლებლობებიც და, კვლავ თქვენი თანადგომის იმედით, არ გაზარდა გაზეთის ფასი – მისი ერთი ეგზემპლარის ღირებულება კვლავაც 50 თეთრია.

ამდენად, გაზეთის გამოწერა ელირება: ერთი თვით – 1 3 ლარი, სამი თვით – 39 ლარი, 6 თვით – 78 ლარი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ – მუდამ თქვენი თანამდგომი, სიხარულისა თუ ჭირ-ვარამის გამზიარებელი გაზეთი!

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ უშუალოდ რედაქციაშიც. კოსტავას ქ. № 14, IV სართული. ტელ: 98.96.32; გაზეთის ინდექსი: 66434.

ანეკდოტები

– მეგობარო, გასულ კვირას სამკურნალო ტალახი რომ გაგატანე მეულლის გარეგნობის გასაუმჯობესებლად, გამოგადგა? – ეკითხებაა აფთიაქარი ძველ ნაცნობს.

– მხოლოდ ორი დღით, მერე კი ჩამოცვივდა...

* * *

– რა მორცხვი ხარ, – დამცინავად ეუბნება გოგო ახალგაცნობილ ვაჟს.

– ჯო, ამ მხრივ სულ მამაჩემს ვგავარ.

– მამაშენიც ასეთი მორცხვი იყო?

– ძალიან. დედაჩემი მეუბნებოდა, ასეთი რომ არ ყოფილიყო, სამი წლით ადრე დაიგადებოლიო.

* * *

– ჩვენ კომუნისტთა ფრაქციიდან ვართ!

– აჰა, რეტროს ფანატები, არა? მესმის, მესმის.

* * *

– სულელი ვარ, ნამდვილი სულელი, ენა მაქვს მოსაჭრელი, – ქვითინებს ქალი. – ვახშმისას მოსეს ვუთხარი, როგორ ჭამ ღორის ხორცს, შენ ხომ წინდაცვეთილი ხარ-მეთქი. მისმა ცოლმა ამაზე ისეთი ამბები ატეხა...

* * *

დასავლეთის ერთ-ერთი ქვეყნის ხუთკვარსკვლავიანი სასტუმროს ფოიეში სხვადასხვა ენაზე დაგეჭდილი განცხადებებია გამოკრული.

ინგლისურ ენაზე:

„ძალბატონებო და გატონებო! ჩვენი ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროს დადგენილებისამებრ, საზღვადოებრივ აუზში პანაო-ბა დაშვებულია მხოლოდ საბანაო ძუდებით. წესის დარღვევნი ადმინისტრაციულად დაისჯებიან!“

ფრანგულ ენაზე:

„ძალბატონებო და გატონებო! ჩვენს სასტუმროში მთელი მსოფლიოდან ჩამოსული ტურისტები ცხოვრობენ. პატივი ეცით სხვათა რელიგიურ და პოლიტიკურ რწმენას. საბანაო ძუდების გარდა აუცილებელია საბანაო კოსტუმების ჩაცმაც!“

რუსულ ენაზე:

„ძალბატონებო და გატონებო! გთხოვთ, აუზში ნუ ჩამუშარდავთ!“

გვირეკავენ, გვეკითხებიან

დაბადებიდან ვარ I ჯგუფის ინვალიდი. ადრე მაღალი პენსია მქონდა დანიშნული და გათანაბრებული ვიყავი ომის III ჯგუფის ინვალიდებთან, ამჟამად მხოლოდ 28 ლარს ვიღებ. შეღავათებსა და დახმარებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. გთხოვთ, განმიმარტოთ, როგორც გავშვიდიდან I ჯგუფის ინვალიდი, ვთავისუფლდები თუ არა რაღაცისა და საოჯახო ნარჩენების გატანის გადასახადისგან, ამავე დროს მინდა ვიცოდე, დამიგარუნებს თუ არა ეს მთავრობა სალაროში შეტანილ თანხას, რომელსაც წლების განმავლობაში პენსიიდან ვრიცხავდი?

ვახტანგ იმედაშვილი

კანონის თანახმად, რადიოს სააგრონებტო გადასახადისგან თავისუფლდებიან I ჯგუფის ბავშვობიდან ინვალიდები, რომელთაც არ ჰყავთ კანონით ვალდებული მარჩენალი. თუ დედაქალაქში ცხოვრობენ, შეუძლიათ უფასოდ მოიხმარონ 40 კუბ. მეტრი გუნებრივი აირი. ისინი არ იხდიან, აგრეთვე, საოჯახო ნარჩენების გატანისა და მოხმარებული სასმელი წყლის გადასახადს. აძვე განგიმარტავთ, რომ ომის III ჯგუფის ინვალიდებთან გათანაბრებულია მხოლოდ II მსოფლიო ომის მონაწილე, რომელიც იბრძოდა მოქმედ არმიაში და გადაცილებულია 70 წლის ასაკს; ბავშვობიდან ინვალიდები ომის ინვალიდებთან არასოდეს ყოფილან გათანაბრებული. კარგად გვესმის თქვენი, რა თქმა უნდა, 28 ლარი არ არის ის თანხა, რაც I ჯგუფის ინვალიდს დაკმაყოფილებს, მაგრამ მოკლებული ვართ შესაძლებლობას, კანონში სათანადო ცვლილების შეტანამდე მივიღოთ გადაწყვეტილება თქვენი პენსიის გაზრდის თაობაზე.

რაც შეეხება თქვენს მიერ სალაროში შეტანილი ანაბრის ანაზღაურებას, საქართველოში შექმნილი მძიმე ფინანსური კრიზისის გამო, მისი გაცემა ჯერჯერობით, ვერ ხერხდება. როგორც კი ამ საკითხზე სათანადო გადაწყვეტილება იქნება მიღებული ქვეყნის ხელმძღვანელობისა და ფინანსთა სამინისტროს მიერ, დამატებით ინფორმაციას დაუყოვნებლივ მოგაწვდით პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მეშვეობით.

– ვარ მეორე მსოფლიო ომის II ჯგუფის ინვალიდი. გთხოვთ, განმიმარტოთ, რა შეღავათები მეკუთვნის ელექტროენერგიისა და სხვა გადასახადების გადახდის დროს?

მიხეილ ხარშილაძე.

– მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მეორე მსოფლიო ომის ინვალიდებს უფლება აქვთ, ზამთრის სეზონზე (ნოემბერი-მარტიძ უფასოდ მოიხმარონ ელექტროენერგია 250 კვტ. საათის ოდენობით თვეში, ხოლო ზაფხულის სეზონზე (აპრილი – ოქტომბერიძ 150 კვტ. საათი.

ალსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის 1 იანვრიდან ომის ინვალიდებს კანონით მინიჭებული ზემოაღნიშნული შეღავათის გათვალისწინებით, ელექტროენერგიის ღირებულების დასაფარავად, ყოველთვიურად ეძლევათ თუ დედაქალაქში ცხოვრობენ 23 ლარი, ხოლო საქართველოს დანარჩენ ქალაქებსა და რაიონებში – 18 ლარი თვეში.

თუ ისინი დედაქალაქში ცხოვრობენ, გათავისუფლებული არიან მოხმარებული სასმელი წყლისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის გადასახადისგან. ამავე დროს, უფლება აქვთ უფასოდ მოიხმარონ 40 კუბ. მეტრი გუნებრივი აირი.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.

ლარის კურსი

17 იანვრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები

ინგლისური გირვ. სტერლ.	1	3,1964 ლარი
აშშ დოლარი	1	1,8005 ლარი
ევრო	1	2,1869 ლარი
რუსული რუბლი	1	0,0636 ლარი.
აზერბაიჯანული მანათი	1	1,9626 ლარი.
სომხური დრამი	100	0,3949 ლარი.
უკრაინული გრივნა	10	3,5583 ლარი.
თურქული ლირა	1	1,3487 ლარი.
ირანული რიალი	1000	0,1982 ლარი.
ისრაელის შეკელი	1	0,3906 ლარი.
უნგრული ფორინტი	100	0,8751 ლარი.
რუმინული ლეი	10000	0,6049 ლარი.
პოლონური ზლოტი	1	0,5761 ლარი.
ბულგარული ლევი	1	1,1185 ლარი.
იაპონური იენი	10	0,1575 ლარი.
კანადური დოლარი	1	1,5520 ლარი.
ჩეხური კრონა	1	0,0761 ლარი.

ინფორმაცია

დაუდევრობის შედეგი

ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფოში ცოფის დიაგნოზით, უმძიმეს მდგომარეობაში მიშვებილია სოფელში მცხოვრები 23 წლის მანუჩარ ჟურულია. იგი დასხლეტებით შვიდი თვის წინათ, მწვანწვერა ძაღლმა დაკბინა. მანუჩარ ჟურულია თბილისში

ლიამ ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინა არ გაიკეთა. ინფექციის პერიოდი შვიდი თვის განმავლობაში გაგრძელდა. ცოფის ნიშნებმა დეკემბრის გოლოს იჩინა თავი.

თავდაპირველად, ჟურულია თბილისში მკურნალობდა, თუმცა 14 იანვარს ეძინებმა იგი მისი სურვილით ზუგდიდის ინფექციურ საავადმყოფოში გაწერეს. როგორც ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფოს ეძიები ლალი დარახველიძე ანხადებს, ავადმყოფის მდგომარეობა უკიდურესად ძძიმეა და ლეტალური შედეგი ფაქტობრივად გარდაუვალია. ავადმყოფი იზოლირებულია.

ონტერესნიუსი

ხსოვნა

რობერტ ხაჩატურიანი

საქართველოს ტექნიკური ინტელიგენციის რიგებს გამოაკლდა ცნობილი სპავსული ენერგეტიკოსი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი როზერტ ხაჩატურიანი.

დაიბადა ქ. თბილისში 1930 წლის 14 მარტს. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1953 წ. ინჟინერ-ვიდრომექანიკოსის კვალიფიკაციით.

1953 წ. რ. ხაჩატურიანი მუშაობას იწყებს სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტში.

1959 წელს გრუნდება საქართველოში და მუშაობას აგრძელებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტში.

1962 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1978 წ. სადოქტორო დისერტაციები, პროფესორის სამეცნიერო წოდება მიენიჭა 1983 წელს.

1986 წლიდან ხელმძღვანელობდა საქართველოს ენერგეტიკისა და ენერგეტიკულ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილებას, სადაც ჩვენი ენერგიით უძლვებოდა ისეთ სამეცნიერო მიმართულებებს, როგორიცაა: საქართველოს ენერგეტიკული კრიზისიდან გამოყვანის პრობლემები, საბაზრო ეკონომიკის პირობებისთვის ელექტროენერგიაზე ტარიფების ფორმირების მეთოდიკის დამუშავება, საქართველოს ენერგომოხმარების ოპტიმალური დაგეგმვა უახლესი და შორეული პერსპექტივისთვის, სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ოპტიმალური განვითარების მათემატიკური მოდელის დამუშავება და სხვ.

გამოქვეყნებული აქვს 130-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მისი ხელმძღვანელობით დაცულ იქნა 12 საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. პროფესორი როზერტ ხაჩატურიანი იყო ენერგეტიკისა და ენერგეტიკულ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი და ხარისხების მინიჭების სადისერტაციო საბჭოს წევრი, 1994 წლიდან საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის წევრი.

სხვადასხვა წლებში არჩეული იყო ყოფილი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის კომპლექსური პრობლემების სამეცნიეროთ საბჭოს წევრად, სსრკ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული პრობლემის „ენერგია და ენერგორესურსების“ სისტემური ანალიზის კოორდინატების წევრად და სსრკ ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს „ზოგადი ენერგეტიკის“ საბჭოს წევრად.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, მედლებული აქვს საქართველოს საპატიო ენერგეტიკოსის წოდება.

ბატონი როზერტ ხაჩატურიანის გარდაცვალება აუნაზღაურებელი დანაკლისია ე. ჩოგოვაძის სახელობის საქართველოს ენერგეტიკისა და ენერგეტიკულ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისთვის, სადაც მან უწყვეტად თითქმის ნახევარი საუკუნე იმუშავა.

მისი ხსოვნა ეუდამ დარჩება მისი თანამშრომლების, ალზრდილებისა და მეგობრების გულებში.

გ. ჩოგოვაძის სახელობის საქართველოს ენერგეტიკისა და ენერგეტიკულ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საქართველოს ენერგეტიკის აკადემია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტი.

დედა ჭანია, მეულლე ნანა გამცეჭლიძე, შვილები თამარიკო, ქეთი, ძმები ჯიმი, დემური, რაქლები ბაია, მანანა, ძმისწულები ნინო, კოტე, ნათია, ვატო ყიფიანები, სიძეები თორნიკე გვაზავა, ლევან წერეთელი, შვილიშვილები მარიამი, ლევანი, ქეთი, ნუცა, ელენე, ბიძაშვილები ნანა, ზურიკო კახიძეები, ცოლისდები წუწუ, მარინა გამცეჭლიძეები, ძმისლები გურამ მგელაძე, ზურაბ კაპანაძე, მძახლები ლევან გვაზავა, ლია წერეთელი, ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ბორის (მორისკა) კონსტანტინეს ძე ყიფიანი

პანაშვიდი 17, 18 I, 16 სთ-ზე, გამოსვენება 19 I, 15 სთ-ზე. მის: ქ. თბილისი, ბაბტრიონის 7.

ნუნუ გამცეჭლიძე, გურამ, გოგი, კოკა მგელაძეები, ნუცა ძორელი, ნინი ხაბაზიშვილი ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან უახლოესი ნათესავის

ბორის (მორისკა) ყიფიანის გარდაცვალებას.

ი. ფალავას სახელობის პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები და სამეცნიერო საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ლარინგოლოგი

გორია ყიფიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ვიქტორია სირაძე, ნათელა ვასაძე, ნელი გურგენიძე, ლია ლომიძე, მედეა მეზვრიშვილი, დალი გოჯაგუა მწუხარებით თანაუგრძნობენ მადონა მგელაძეს დის

დოდო მგელაძის გარდაცვალების გამო.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ე. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებს შალვა წიქარიძეს მამის

ვლადიმერ წიქარიძის გარდაცვალების გამო.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „თანადგომა-1“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.
ძიზიყის ქ. №12, ტ: 71-68-81, 899 797679

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ელგუჯა ლებანიძე.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთ. რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უზეუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, გუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობა 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიები ნუ შემოგვთავაზებენ.